შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივიკოლეჯი

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები
(წესი)

თბილისი

2018

მუხლი 1.

1.1. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, რომლიც წარმოადგენს მის სტრუქტურულ ერთეულს. სამედიცინო კაბინეტის მუშაობას წარმართავს ექთანი.

1.2. პროფესიულ სტუდენტებსა და დაწესებულების პერსონალს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს (სამუშაო საათებში) მიმართონ ექთანს და უსასყიდლოდ მიიღონ შესაბამისი სამედიცინო კონსულტაცია ან დახმარება;
1.3.თუ პროფესიული სტუდენტი ან დაწესებულების თანამშრომელი ვერ ახერხებს ექთანთან დამოუკიდებლად მისვლას ან/და ეჭვქვეშ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს ექთანს და სთხოვოს მას სამედინო დახმარების საჭიროების მქონე პირის ადგილზე გასინჯვა. ექთანი ვალდებულია დაუყონებლივ დააკმაყოფილოს აღნიშნული თხოვნა.

მუხლი 2.

2.1.ექთანმა დაწესებულების დირექტორთან ერთად აუცილებლად უნდა გააკონტროლოს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ვარგისიანობის ვადა. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები უნდა ინახებოდეს დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა უნდა ჰქონდეს მხოლოდ ექთანს.
2.2. ექთანი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს.
2.3. საჭიროების შემთხვევაში ექთანმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება.
2.4. სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებისას ექთანმა ოპერატორს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია და პირველმა არ უნდა დაკიდოს ყურმილი, ვინაიდან შესაძლოა ოპერატორმა დასვას დამატებითი შეკითხვები.
2.3. ექთანმა შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გაატაროს აუცილებელი ღონისძიებები დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.
2.4.ექთანს თავისი ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით, გამოყოფილი აქვს სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი ოთახი.

მუხლი 3.

3.1.წინამდებარე წესი მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით;

3.2.წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

3.3. წინამდებარე წესი უნდა განთავსდეს დაწესებულების ვებ-გვერდზე, სამედიცინო კაბინეტში და დაწესებულების შენობაში საჯაროდ თვალსაჩინო ადგილას.